ცხოვრება აფრიკაში

გაიხსენე, რა იცი აფრიკის კონტინენტის შესახებ.

აფრიკა ყველაზე ცხელი **კონტინენტია**. იქ ცხოვრობს უამრავი ცხოველი. ესენია: ავაზა, ზებრა, ჟირაფი, ლომი, ბეჰემოთი, სპილო, მარტორქა... ასევე – გორილა და შიმპანზე. მართალია, იქ უფრო მეტი **ვაკე** ადგილია, თუმცა მის სამხრეთ ნაწილში არის თოვლით დაფარული მთებიც. აფრიკაშია მსოფლიოში ყველაზე დიდი **უდაბნო** საჰარა. აქვეა ყველაზე გრძელი მდინარე ნილოსი. ხარობს ზეთის პალმა, ბაობაბი და სხვა. პირველი ადამიანების **ნასახლარი** მეცნიერებმა სწორედ აფრიკაში იპოვეს.

როგორ ცხოვრობს აფრიკაში ხალხი? მათი დიდი ნაწილი ძალიან ღარიბია. ისინი სოფლებში ცხოვრობენ. სახლებს მიწისგან აშენებენ. ბევრ სოფელს დღემდე ელექტროენერგიაც არ აქვს. უამრავი ბავშვი სკოლაშიც ვერ დადის. აფრიკელებს მოჰყავთ ქერი, სიმინდი, ტკბილი კარტოფილი, ყავა. ამზადებენ ბამბას, კაკაოს, კაუჩუკს. კონტინენტის ზოგ ნაწილში მოიპოვებენ ოქროს, ალმასს, სპილენძს...

აფრიკა ძალიან მოსწონთ ტურისტებს, განსაკუთრებით ეგვიპტე. იქ არის მსოფლიოს ერთ-ერთი საოცრება – ხეოფსის პირამიდა.

საინტერესოა აფრიკული მუსიკაც. აფრიკელები მუსიკას სხვადასხვა დასარტყამი ინსტრუმენტით ქმნიან. ესენია: ტამტამი, ქსილოფონი და სხვა. იყენებენ ფლეიტასაც.

აი ასეთია აფრიკული ცხოვრება.

რა გაიგე ახალი აფრიკისა და აფრიკელების შესახებ?

დონე: *A* *გამარტივებული*, **კომპონენტი:** *შეფასება*

ტექსტის გაგება

ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.

1 აფრიკა გამოირჩევა იმით, რომ:

ა) იგი ყველაზე დიდი კონტინენტია.

ბ) იგი ყველაზე მთიანი კონტინენტია.

გ) იგი ყველაზე ცხელი კონტინენტია.

2 რა აღმოაჩინეს მეცნიერებმა აფრიკაში?

ა) პირველი ადამიანის ნასახლარი.

ბ) ყველაზე გრძელი მდინარე.

გ) ყველაზე დიდი უდაბნო.

3 აფრიკის მოსახლეობის დიდი ნაწილი:

ა) არის ძალიან განათლებული.

ბ) ცხოვრობს ძალიან მდიდრულად.

გ) ცხოვრობს ძალიან ღარიბად.

4 ყველაზე მეტად, რის სანახავად ჩადის აფრიკაში ბევრი ტურისტი?

ა) აფრიკული დასარტყამი ინსტრუმენტების სანახავად.

ბ) თოვლით დაფარული ლამაზი მთების სანახავად.

გ) ცნობილი ეგვიპტური პირამიდების სანახავად.

5 რის შესახებ *<u>არ არის</u>* საუბარი ტექსტში?

ა) აფრიკელების საქმიანობის შესახებ.

ბ) აფრიკის ბუნების შესახებ.

გ) პირამიდების რაოდენობის შესახებ.

▶▶▶ ლექსიკა

1 რა არის უდაბნო?

ა) ადგილი, სადაც ბევრი წყალია.

ბ) ადგილი, სადაც წყალი არ არის.

გ) ადგილი, სადაც ძალიან ცივა.

2 დააკავშირე ხაზებით სიტყვები და მათი მნიშვნელობები.

1. ნასახლარი	სწორი, გაშლილი ადგილი.
2. ვაკე	ხმელეთის ძალიან დიდი ნაწილი.
3. კონტინენტი	ძველი ადამიანის საცხოვრებელი.

3 ხაზებით დააკავშირე საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები (ანტონიმები).

მთელი	ნაკლები
ღარიბი	ნაწილი
მეტი	მდიდარი

▶▶▶ გრამატიკა

1 რომელი სიტყვაა გამოტოვებული?

აფრიკელები ამზადებენ ----------.

ა) კაუჩუკი. ბ) კაუჩუკმა. გ) კაუჩუკს.

2 სწორად შეარჩიე გამოტოვებული სიტყვა.

ა) ბევრ ---------- დღემდე ელექტროენერგიაც არ აქვს.
(სოფელს / სოფლებს)

ბ) იქ უამრავი ცხოველი ----------. **(ცხოვრობენ / ცხოვრობს)**

გრამატიკა

3 **დაწერე ერთი სიტყვით.**

ნიმუში: ყველაზე ძველი – უძველესი.

1. ყველაზე დიდი – ----------. 2. ყველაზე მდიდარი – ----------.

4 **სწორად გამოიყენე სიტყვები:** მუსიკა, ხალხი.

1. აფრიკელი (ვინ?) ---------- . 2. აფრიკული (რა?) ----------.

წერა

1 **დაწერე შემავჯამებელი ტექსტი „აფრიკა“. ამისთვის გამოიყენე კითხვებზე გაცემული შენი პასუხები. წერა დაიწყე პირველი კითხვაზე შერჩეული პასუხით, შემდეგ კი დაწერე სხვა პასუხებიც.**

დაიწყე ასე:

აფრიკა გამოირევა იმით, რომ ----------.

_____

_____

_____

_____

_____

2 **წარმოიდგინე, რომ შენ მიდიხარ აფრიკაში. დაწერე, რა გინდა ნახო და რატომ? დახატე შენი მოგზაურობა აფრიკაში.**

_____

_____

_____

_____

_____

_____